ტვინების ბრძოლა
ფინალი | შემოდგომა 2024
U12 (IX, X, XI, XII კლასები)

1. 5 ქულიანი შეკითხვა
[დასარიგებელი მასალა

]
ინგლისში გუნდებს მისცეს უფლება, ზოგ შემთხვევაში **მაისურები საშინაო-საგარეო** პრინციპის **დარღვევით ჩაეცვათ**. ეს **ასეთი ადამიანებისთვის** გააკეთეს. დაწერეთ **სიტყვა**, რომელიც **შევცვალეთ** სიტყვით "ასეთი".

პასუხი: დალტონიკი
კომენტარი: მასალის მარცხენა მხარეს ჩანს, რომ სპორტსმენებს მწვანე და წითელი მაისურები აცვიათ, დალტონიკები კი ამ ფერებს შორის განსხვავებას მარტივად ვერ დაინახავენ. ინგლისის გუნდებს მისცეს უფლება, საჭიროების შემთხვევაში საშინაო-საგარეო მაისურების პრინციპი დაარღვიონ, თუკი ფერთა კომბინაციის აღქმა დალტონიზმის მქონე ადამიანებისთვის რთული იქნება.
წყარო:
https://www.dailymail.co.uk/sport/football/article-12946551/how-colour-blind-fans-view-football-kits.html
https://wp.inews.co.uk/wp-content/uploads/2022/11/comp-1669306364.png?crop=2px%2C0px%2C996px%2C563px&resize=1200%2C675

2. 6 ქულიანი შეკითხვა
ერთ მატჩში კლუბ "**ბეშიქთაშის**" ფეხბურთელების **მწყობრმა სიარულმა** მოწინააღმდეგის საჯარიმოში **შედეგი ვერ გამოიღო**. კომენტატორმა **ხატოვნად აღნიშნა**, რომ **იქსი წარუმატებელი აღმოჩნდა**. ცნობილი "**იქსი**" **1784 წელს ევროპაში** შეიქმნა. დაწერეთ იქსი **ორი** სიტყვით.

პასუხი: თურქული მარში
კომენტარი: ბეშიქთაში სტამბოლის საფეხბურთო კლუბია, ხოლო სიტყვები "მწყობრი სიარული" დამატებით მინიშნებას წარმოადგენდა სამხედრო მოძრაობაზე. კომენტატორმა ხატოვნად თქვა, რომ თურქული მარში წარუმატებელი აღმოჩნდა. "თურქული მარში" მოცარტის მე-11 სონატის მესამე ნაწილია.
http://www.sport-express.ru/newspaper/2009-12-09/1_1/

3. 7 ქულიანი შეკითხვა

[ეს შეკითხვა არის დუპლეტი. გუნდებს აცნობეთ, რომ იკითხება ჯერ პირველი შეკითხვა და ჩაირთვება 45 წამი; შემდეგ იკითხება მეორე შეკითხვა, ჩაირთვება ისევ 45 წამი. ქულას გუნდი მიიღებს ორივე სწორი პასუხის შემთხვევაში.]

დუპლეტი:
1) არქეოლოგ **ჰაინრიხ შლიმანს** სურდა, რაც შეიძლება **მალე** აღმოეჩინა **ტროას ნამარხები**. იმის გამო, რომ **გუნდის ნახევარი დღესასწაულს აღნიშნავდა**, შლიმანმა მეორე ნახევარი **ბერძენი მუშებისგან** დააკომპლექტა. დაასახელეთ **დღესასწაული**, რომელსაც **აღნიშნავდა** მუშათა **პირველი ნახევარი**.

2) შლიმანს სურდა, რომ **ტროა გაზაფხულზევე აღმოეჩინა**. ამიტომ, სანამ **გუნდის მეორე ნაწილი დღესასწაულს აღნიშნავდა**, შლიმანის გუნდში **თურქი მუშები მუშაობდნენ**. დაასახელეთ **დღესასწაული**, რომელსაც აღნიშნავდა მუშათა **მეორე ნახევარი**.

პასუხი: რამადანი; აღდგომა
კომენტარი: მთავარი ისლამური და ქრისტიანული დღესასწაულები გაზაფხულზე, ერთმანეთის მიყოლებით მიმდინარეობს. გამჭრიახმა შლიმანმა გუნდი ისე დააკომპლექტა, რომ სამუშაოები უწყვეტად გაგრძელებულიყო: რამადანის დროს მან ბერძნები დაასაქმა, აღდგომის პერიოდში კი - თურქები.
https://ka.wikipedia.org/wiki/რამადანი
https://ka.wikipedia.org/wiki/აღდგომა
https://poets.org/poem/odysseus-telemachus

4. 5 ქულიანი შეკითხვა
იაკობ გოგებაშვილის მოთხრობაში ერთი **ფრინველი თბილი ქვეყნიდან ნაადრევად დაბრუნდა**, რამაც მეცხვარე **დააბნია** და **ცხვრების გაკრეჭა** გადააწყვეტინა. მას შემდეგ, რაც **ცხვრებს შესცივდათ**, მეცხვარე **მიხვდა**, რომ… **დაასრულეთ** წინადადება **რამდენიმე** სიტყვით.

პასუხი: ერთი მერცხლის ჭიკჭიკი გაზაფხულს ვერ მოიყვანს
ჩათვლა: ერთი მერცხალი გაზაფხულს ვერ მოიყვანს
კომენტარი: მეცხვარემ ჩათვალა, რომ თბილი ქვეყნიდან მოფრენილი პირველივე მერცხალი ავტომატურად გაზაფხულის დადგომას მოასწავებდა, რის გამოც მან ნაადრევად გაკრიჭა ცხვრები. მალევე გაირკვა, რომ გაზაფხული მხოლოდ ერთი მერცხლის მოფრენით არ დგება.
წყარო:
https://www.aura.ge/103-saskolo/11025-iakob-gogebashvili--erti-mercxlis-tchiktchiki.html

5. 6 ქულიანი შეკითხვა
გაირკვა, რომ სანამ **იქსის მოკვლას** შეეცდებოდა, **ტომას მეთიუ კრუქსი** გაეცნო ინფორმაციას **ლი ჰარვი ოსვალდის** შესახებ. იქსის შესახებ დაწერილი **სტატიის** ერთ-ერთ თავს ეწოდება "**ბიზნესმენობიდან პოლიტიკოსობამდე**". დაასახელეთ **ადამიანი**, რომელიც იქსით შევცვალეთ.

პასუხი: დონალდ ტრამპი
კომენტარი: ლი ჰარვი ოსვალდმა 1963 წელს მოკლა აშშ-ის 35-ე პრეზიდენტი ჯონ კენედი. ტომას მეთიუ კრუქსი, რომელსაც აშშ-ის 45-ე პრეზიდენტის, დონალდ ტრამპის მოკვლა სურდა, გაეცნო ინფორმაციას ოსვალდის შესახებაც. დონალდ ტრამპი პოლიტიკოსობამდე ძალიან წარმატებული ბიზნესმენი იყო.
წყარო: https://www.radiotavisupleba.ge/a/33050030.html

https://kids.nationalgeographic.com/history/article/donald-trump

6. 7 ქულიანი შეკითხვა
[დასარიგებელი მასალა

Sad Days]

მეექვსე შეკითხვა. თქვენ წინაშეა **ინგლისური იდიომი**, რომელიც გვხვდება **შექსპირის** პიესაში. **საინტერესოა**, რომ ამ იდიომით **კლეოპატრა** მოიხსენიებს თავისი ახალგაზრდობის იმ დღეებს, როდესაც **გატაცებული** იყო **იულიუს კეისრით**. მასალაზე გამოტოვებულია **ორი ასო**. დაწერეთ ეს ორი **ინგლისური** ასო.

პასუხი: la
კომენტარი: იდიომი ჟღერს, როგორც "Salad days". იულიუს კეისრით გატაცებული კლეოპატრა განვლილ დღეებს სალათის დღეებად იხსენიებს. საინტერესოა, რომ გავრცელებული მითი სალათ "ცეზარის" შექმნას იულიუს კეისარს უკავშირებს. ლა მეექვსე მუსიკალური ნოტია, რის დამატებით მინიშნებადაც კითხვის ნომერი გამოგადგებოდათ.
https://en.wikipedia.org/wiki/Salad_days

7. 5 ქულიანი შეკითხვა
ერთ **კარიკატურაზე** ეს **ცნობილი მსახიობი უყურებს მედუზა გორგონას** და **არაფერი ემართება**. **სიმბოლურია**, რომ ანიმაციაში "**მოანა**", ეს მსახიობი **ახმოვანებს ტატუებით დაფარულ**, **დაკუნთულ პერსონაჟს**. დაასახელეთ ეს მსახიობი.

პასუხი: დუეინ "როკ" ჯონსონი
ჩათვლა: დუეინ ჯონსონი
კომენტარი: დუეინ ჯონსონის მეტსახელია "ქვა" [the Rock]. მედუზა გორგონა მსხვერპლს ქვად აქცევს, თუმცა დუენ ჯონსონს, რომელიც ისედაც ქვაა, ვერაფერს უხერხებს. "მოანაში" დუენ ჯონსონი ახმოვანებს პერსონაჟ მაუის, რომელიც გარეგნობით ძალიან ჰგავს თავად მსახიობს.
წყარო:

8. 6 ქულიანი შეკითხვა
[კაპიტნების რაუნდი. თითოეულ მაგიდასთან უნდა დარჩეს ერთი მოთამაშე, რომელიც შეიძლება იყოს ან არ იყოს კაპიტანი.]

ერთ **კომედიურ** სერიალში იღებენ **მეოცე** საუკუნის **ცნობილი ნაწარმოების** ახლებურ ვერსიას (**რიმეიქს**), რომლის **სათაურიც** არის "**ახალგაზრდა** და **სანაპირო"**. დაასახელეთ ამ ცნობილი ნაწარმოების **ავტორი**.

პასუხი: ერნესტ ჰემინგუეი
კომენტარი: ერნესტ ჰემინგუეის ამ ცნობილ ნაწარმოებს ჰქვია "მოხუცი და ზღვა". კომედიური სერიალის გმირებმა გადაწყვიტეს მისი ახლებური ვერსიის გადაღება და სათაურში შემავალი სიტყვები იუმორისტულად გადააკეთეს, როგორც "ახალგაზრდა და სანაპირო".

9. 7 ქულიანი შეკითხვა
ამერიკის პრეზიდენტმა მილარდ ფილმორმა უნივერსიტეტში სწავლისას უარი განაცხადა **დოქტორის** საპატიო **დიპლომზე**, რადგან **არ იცოდა იქსი**. **მარტინ ლუთერის** აზრით, **კათოლიკური ეკლესია** სათავისოდ იყენებდა იმ ფაქტს, რომ **მოსახლეობამ იქსი არ იცოდა**. დაწერეთ იქსი **ერთი** ან **ორი სიტყვით**.

პასუხი: ლათინური
ჩათვლა: ლათინური ენა
კომენტარი: ფილმორს, ამერიკის სხვა პრეზიდენტების მსგავსად, დიპლომი ისედაც ჰქონდა; თუმცა, ფილმორმა უარი თქვა დოქტორის საპატიო დიპლომზე, რადგან მისი აზრით, დოქტორის ხარისხის მქონე ადამიანს უნდა სცოდნოდა ლათინური ენა. ლუთერი აკრიტიკებდა კათოლიკურ ეკლესიას, რომელიც ბიბლიას განზრახ არ თარგმნიდა ლათინური ენიდან უფრო ხელმისაწვდომ ენებზე.
https://www.independent.co.uk/news/presidents/millard-fillmore-1391119.html

10. 5 ქულიანი შეკითხვა
წიგნის კითხვისგან **თავბრუდახვეული მარტინ იდენი** თავის **ოთახს იქსს ადარებს**. **არალის ზღვას**, რომელიც **გამომშრალია**, ხშირად **იქსების სასაფლაოსაც** უწოდებენ. დაასახელეთ იქსი **ოთხასოიანი** სიტყვით.

პასუხი: გემი
ჩათვლა: ნავი
კომენტარი: მარტინს თავბრუ დაეხვა და მოეჩვენა რომ არა თავის ოთახში, არამედ გემზე იმყოფებოდა. არალის ზღვის ტერიტორიაზე დარჩა ბევრი გემი, რომელთაც ფუნქცია დაკარგული აქვთ, რადგან ზღვა, პრაქტიკულად, გამომშრალია.
წყარო: https://en.wikipedia.org/wiki/Ship_graveyard
http://www.biblioteka.litklubi.ge/admin/files/%E1%83%AF%E1%83%94%E1%83%99%20%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%93%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%98%20%E2%80%93%20%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%9C%20%E1%83%98%E1%83%93%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%98.pdf

11. 6 ქულიანი შეკითხვა
[დასარიგებელი მასალა

]
დარიგებულ მასალაზე გამოსახულია **დავალება**, რომლის მიხედვითაც ერთი **რეალითი შოუს** მონაწილეებს **მაქსიმალურად დიდხანს** უნდა **ეტარებინათ 100-კილოგრამიანი ქვა ერთი ბოლოდან მეორეში**. დაასახელეთ **მეფე**, რომელიც დავალების **სახელში ფიგურირებს**.

პასუხი: სიზიფე
კომენტარი: დავალების მიხედვით მონაწილეებს მძიმე ლოდი ჯერ აღმართზე უნდა აეტანათ, შემდეგ დაეგორებინათ, შემდეგ ისევ აეტანათ და ასე გრძელდებოდა იქამდე, სანამ მხოლოდ ერთი გამარჯვებული არ დარჩებოდა. ბერძნული მითოლოგიის მიხედვით, მეფე სიზიფე ღმერთებმა დასაჯეს: მას უნდა აეტანა ლოდი მთაზე, შემდეგ დაეგორებინა და ისევ აეტანა უსასრულოდ.
წყარო: Physical 100 e7

12. 7 ქულიანი შეკითხვა
სიტყვებით "**ამის კეთება**" შეცვლილია **რამდენიმე სიტყვა**.
უდაბნოს ხის - ბოსველიას სიმაღლე საშუალოდ **ხუთი მეტრია**, თუმცა თუ **გავაკეთებთ ამას**, **30 მეტრსაც** მივიღებთ. **ქართული ფილმის** პერსონაჟი **შვილიშვილთან** საუბრისას ახსენებს **ამის კეთებას**. დაასახელეთ ეს ფილმი.

პასუხი: ფესვები
კომენტარი: ბოსველიას ხე უნალექო გარემოში იზრდება და ძალიან ვრცელი ფესვები აქვს, რათა სიღრმიდან მოიპოვოს საჭირო მიკროელემენტები. ამრიგად, ამ ხის სიმაღლე საშუალოდ ხუთი მეტრია, მაგრამ თუ ხის სიმაღლეს ფესვებიდან გავზომავთ, 30 მეტრსაც მივიღებთ. ფილმ "ფესვების" მთავარი პერსონაჟი შვილიშვილს ეუბნება, რომ ხის სიმაღლე მიწის ზევიდან კი არ იზომება, არამედ ფესვებიდან.
წყარო: https://en.wikipedia.org/wiki/Boswellia_sacra
https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%A4%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%95%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98_(%E1%83%A4%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%9B%E1%83%98)

13. 5 ქულიანი შეკითხვა
ერთი სერიალის პერსონაჟი განმარტავს, თუ რატომ არის ქალაქ **ჯაკარტას** მეტსახელი "**დიდი დურიანი**" და ახსენებს **ამ ცნობილ ქალაქს**. ამ ქალაქში განთავსებულ ქალთა **საკალათბურთო გუნდს** ეწოდება "**თავისუფლება**". დაასახელეთ ეს ქალაქი.

პასუხი: ნიუ იორკი
კომენტარი: დურიანი ინდონეზიაში გავრცელებული ხილია. ჯაკარტას ეძახიან "დიდ დურიანს", ისევე, როგორც ნიუ იორკის მეტსახელია "დიდი ვაშლი". სიმბოლურია, რომ ქალაქში, სადაც მდებარეობს თავისუფლების ქანდაკება, ვხვდებით ქალთა გუნდს სახელად "თავისუფლება".
წყარო: Carmen Sandiego S1E3; ბმული

14. 6 ქულიანი შეკითხვა

წიგნში “**მარტინ იდენი**” პერსონაჟი თავისი **შორეულობისა** და **მიუწვდომლობის** გამო შეადარეს **ქოლგას**. ერთ საიტზე ვკითხულობთ, რომ თუ **ზღვის ქოლგას** ვეძებთ, **ქვების ქვეშ** უნდა ჩავიხედოთ. დაწერეთ ქოლგით შეცვლილი სიტყვა.

პასუხი: ვარსკვლავი
კომენტარი: პერსონაჟი შეადარეს ვარსკვლავს, რომელიც შორეული და მიუწვდომელია. სპანჯბობის მეგობარი პატრიკი სწორედ ქვის ქვეშ ცხოვრობს, ისევე, როგორც ნამდვილი ზღვის ვარსკვლავები. შეკითხვის ტექსტში ცნობილი კორეული თამაშის ერთი ელემენტი, ვარსკვლავი, მეორით - ქოლგით შევცვალეთ.
წყარო:
http://www.biblioteka.litklubi.ge/admin/files/%E1%83%AF%E1%83%94%E1%83%99%20%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%93%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%98%20%E2%80%93%20%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%9C%20%E1%83%98%E1%83%93%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%98.pdf
https://www.wildlifetrusts.org/wildlife-explorer/marine/starfish-and-sea-urchins/cushion-star

15. 7 ქულიანი შეკითხვა
[დასარიგებელი მასალა

Un******able]

გირჩევთ, ჩაიწეროთ.
ეპითეტი, რომელსაც მასალაზე ხედავთ, **ინგლისურ** ენაში **რამდენიმე წლის წინ** გამოჩნდა და გამოიყენება მაშინ, როცა სასურველი **ნაწარმოების ამოცნობა ვერ ხერხდება**. ამ ეპითეტში ჩვენ დავფარეთ **რამდენიმე ასო**, რომელიც **სუპერგმირის სახელს** ემთხვევა. ამ სუპერგმირის სახელი **ვერ შედგებოდა**, რომ არა **სოლომონი**, **ჰერკულესი**, **ატლასი**, **ზევსი**, **აქილევსი** და **მერკური**. დაწერეთ გამოტოვებული ასოები.

პასუხი: Shazam
კომენტარი: ერთი მხრივ საუბარია აპლიკაციაზე “შაზამი”, რომელიც სასურველი მუსიკის ამოცნობაში გვეხმარება. კითხვის მეორე ნაწილში საუბარია კომიქსების პერსონაჟ შაზამზე, რომელიც გამოირჩევა ჩამოთვლილი პერსონაჟების ძალებით და მისი სახელი ამ პერსონაჟების სახელების პირველი ასოებისგან შედგება.